

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი № 16

„19“ ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი ძულიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ სოფიო ოხანაშვილი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

1. მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N 18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N 18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თბლაშიძე